

# ტესტირების ცენტრებში ტექნისპექტირების პროცესის მონიტორინგი გამკაცრდება



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ტესტირების ცენტრებში ტექნიკური ინსპექტირების პროცესის მონიტორინგს გაამკაცრებს.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს აკაკი საღირაშვილის განმარტებით რეგრამენტში შედის ცვლილება— ყოველდღიურ რეჟიმში, დაივკამერების საშუალებით ტექნისპექტირების პროცესზე შესაძლებელი იქნება თვარყურის დევნება. ამჟამად ტესტირების ცენტრებში დაივკამერები დამონტაჟებულია, თუმცა მასადის ნახვა მხოლოდ გამოთხოვების შემდეგ არის შესაძლებელი.

*„ხარვეზები და გამოწვევები გამორჩა რეფორმის იმპლემენტაციის დროს. ამასთან, ძარიან აქტიურად ვმუშაობთ ყველა დაინტერესებულ პირთან. რაც შეეხება კორუფციურ რისკს, გადაგზავნილი გვაქვს მასალები და მოკვლევა მიმდინარეობს. იცით, რომ ათ ცენტრს ეტაპობრივად ვუჩერებთ საქმიანობას. ვფიქრობ, რომ კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმი დასახვეწია.“*

ამ მიმართულებით, ჩვენ რეგრამენტში შეგვაქვს შესაბამისი ცვლილება და გვინდა, დაივრეჟიმში მოხდეს მონიტორინგი, დაიხვეწოს ეს მექანიზმი. რეგრამენტი მომზადებულია, მომზადებულია ცვლილების პაკეტი. ვგეგმავთ, მთავრობაზე გავიტანოთ. ცვლილება გუდისხმობს მონიტორინგის დახვეწასა და დაივკამერების

*სავადღებულო რეჟიმში ჩართვას. ახლა ტექნოსპექტირების ცენტრებში ჩართულია დაივკამერები. ცენტრებს აქვთ ვადღებულება, შეინახონ მასაღა, აკრედიტაციის ცენტრს კი, შეუძლია გამოითხოვოს. ყოველდღე შეგვიძლია დაივრეჟიმში ვადევნოთ თვარყური, ანუ კონტროლი გამკაცრდება“, – განაცხადა აკაკი საღირაშვილია.*

80-ზე მეტ ტექდათვარიერების ცენტრს დაემატება კიდევ 51 ცენტრი, აქედან სამი მობილური იქნება.

შეგახსენებთ, 19 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ავტოსატრანსპორტო საშუარებებზე ტექნიკური ინსპექტირების ყარბი ანგარიშების გაცემის ფაქტები გამოავლინა. ტექნიკური ინსპექტირების 10 ცენტრს გამოძიების დასრულებამდე აკრედიტაცია შეუჩერდება.